

## საქართველოს ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მათი მიღება-გამოცვლის წესები

დამტკიცებულია  
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს  
2005 წლის 2 თებერვლის N3 დადგენილებით  
გამოქვეყნებულია სს მაცნე 14.02.2005 N16

### მუხლი 1. ზოგადი წესები

ეს წესები შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41-ე, 45-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად და ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად

გამოშვებული ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების გადასახდელად ვარგისიანობის განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მათი მიღება-გამოცვლის წესებს, რომლის დაცვაც სავალდებულოა ყველა პირისათვის.

### მუხლი 2. საქართველოს ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრის კრიტერიუმები

ეროვნული ვალუტის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც არ იწვევენ ეჭვს ნამდვილობაში, ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით იყოფა ოთხ კატეგორიად:

1. I კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი დაუზიანებელი ფულის ნიშნები.

2. II კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი უმნიშვნელო დაზიანების მქონე ფულის ნიშნები, როგორცაა:

ა) ბანკნოტები, რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი მოძველების შედეგად არსებული დეფექტები, გაჭუჭყიანებულია, აქვთ მცირე ნახევები, წარწერები და ლაქები, რომლებიც არ ცვლიან ბანკნოტისათვის აუცილებელ ყველა რეკვიზიტსა და ღირებულებას;

ბ) მონეტები, რომლებსაც აქვთ უმნიშვნელო ნაკაწრები და კოროზიის ნიშნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, შენარჩუნებული აქვთ ფერი, ავერსისა და რევერსის მკვეთრი გამოსახულებები.

3. III კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი მნიშვნელოვანი დაზიანების მქონე ფულის ნიშნები, როგორცაა:

ა) ბანკნოტები, რომელთაც შეცვლილი აქვთ ფერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ნამდვილობისა და ნომინალის დადგენა;

ბ) დახეული და შეწებებული ბანკნოტი, როდესაც მტკიცდება რომ შემადგენელი ნაწილები მიეკუთვნებიან ერთიდაიმავე ბანკნოტს;

დ) დაზიანებული ბანკნოტები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ორიგინალური ბანკნოტის ზომის არანაკლებ 52 პროცენტი და ერთ-ერთი სერიული ნომერი;

ვ) ნებისმიერი დაზიანების მქონე მონეტები, თუ შესაძლებელია მათი ნომინალისა და ნამდვილობის დადგენა და შენარჩუნებულია ორიგინალური მონეტის ზომის არანაკლებ 52 პროცენტი.

4. IV კატეგორიას მიეკუთვნება განზრახ და ისეთი დაზიანების მქონე ფულის ნიშნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში.

მუხლი 3. ეროვნული ვალუტის დაზიანებული ბანკნოტებისა და მონეტების გამოყენებისა და გამოცვლის წესები

1. ფიზიკურ პირს უფლება აქვს უარი თქვას III და IV კატეგორიის ბანკნოტებისა და მონეტების მიღებაზე.

2. კომერციული ბანკები და სხვა იურიდიული პირები ვალდებული არიან ანგარიშსწორების პროცესში შეუფერხებლად მიიღონ I, II და III კატეგორიის ფულის ნიშნები.

3. კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ კლიენტის მიერ შემოტანილი თანხების დახარისხებას და შემდგომი გამოცვლის ან შესაბამის ანგარიშზე ასახვის მიზნით II და III კატეგორიის ფულის ნიშნების ეროვნულ ბანკში ჩაბარებას.

4. IV კატეგორიის ფულის ნიშნები ითვლება გადასახდელად უვარგისად, არ ექვემდებარება გამოცვლას და იურიდიულ პირს (მათ შორის კომერციულ ბანკს) არა აქვს ანგარიშსწორებისათვის მათი მიღების უფლება.

5. იმ შემთხვევაში, თუ IV კატეგორიის ბანკნოტებისა და მონეტების დაზიანება გამოწვეულია ხანძრის, სტიქიური უბედურებებისა ან სხვა ფორს მაჟორული გარემოებებით, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით, მათი გამოცვლის საკითხს ყოველ

ცალკეულ შემთხვევაში განიხილავს და წყვეტს საქართველოს ეროვნული ბანკი.